**აი, ია**

აი ია,

აი, ია

რა ლამაზი

ყვავილია,

მინდორშიაც,

ბაღჩაშიაც,

ჩემს წიგნებშიც ყვავის ია!

სადაც თვალით შემიხედავს,

სადაც ფეხით გამივლია,

ყველგან ვნახე და ყველგან ვთქვი:

- აი ია,

აი, ია!

ია თურმე დედის ცრემლზე

ამოსული ყვავილია.

გიორგი წერეთელი

**ენძელა**

შემომხედეთ თეთრ კაბაში

მოვიწონო მინდა თავი.

მე პატარა ენძელა ვარ

გაზაფხულის პატარძალი.

გაიღვიძეთ ყვავილებო-

თოვლი დნება ნება-ნება.

ჩვენს ქვეყანას მივულოცოთ

გაზაფხულის მობრძანება.

ხათუნა გულიაშვილი

**გვირილები**

გათენდაო, გვირილებმაც

გაახილეს თვალი,

მინდვრის გასწვრივ ყვავილებს

კვლავ უბრწყინავს ცვარი.

ტყეში ტკბილად ჩურჩულებენ

ნარგიზი და შროშანი;

დასტრიალებს მუდამ მზე

სიხარულის მომტანი.

ლუარა ჭანტურია

**ია და ენძელა**

ია ენძელას ეძახის-

ჩქარა ამოდი მიწიდან,

განა არ იცი სოფელი

მოუთმენლად რომ გიცდიდა?

ენძელამ თავი ამოჰყო

გამთბარი მიწის გულიდან.

მზე უღიმოდა ორივეს

და დედასავით უვლიდა.

ლუარა ჭანტურია

**ია**

რა ყვავილს ვგავარ, თუ იცით?

კარგად შემხედეთ, აბა...

ცისფერი ქუდი მახურავს,

მაცვია ლურჯი კაბა.

ბაღში ვარ, ხელით მატარებს

ჩვენი მებაღე ძია,

თავზე პეპელა მაზის და

იცით?

მე ია მქვია.

ნოდარ დუმბაძე

**ია**

-პატარა გოგო იაო,

გვითხარ, რა შეგიძლიაო?

-ვიტირებ, წვიმა წამოვა,

გავიცინებ და... მზეაო!

ცირა ქიტიაშვილი

## ლურჯთვალება ია

ლურჯთვალება იას

თვალი გაუღია

და ამ სისხამ დილით

ელოდება ნიავს.

ლუარა ჭანტურია

## ნუში

ნუში აყვავდა თეთრად,

ტოტზე კვირტები ფეთქავს

და გაზაფხულის მოსვლას

ზეიმობს ყველა ერთად.

სხივი გადმოჰფენს ფარდაგს,

ველ-მინდორსა და ბაღნარს

და რახარუხით მთის წყარო

ჩამოუყვება დაღმართს.

ლუარა ჭანტურია

## ნუშის ხე

ბაღში ჰყვავის ნუშის ხე,

ზოგჯერ ქარი უშლის ხელს.

წყლულს მოურჩენს მებაღე,

როცა თითებს შეახებს.

ლუარა ჭანტურია

**ყაყაჩოსა სიწითლითა**

ყაყაჩოსა სიწითლითა

ყანა დაუმშვენებია,

ყმაწვილსა კარგი სწავლითა

დედა გაუხარებია.

იაკობ გოგებაშვილი

**ხე, ფოთოლი და შემოდგომა**

ფოთოლი ვარ ხის

და ვეცემი ძირს,

გვიან შემოდგომაზე

მომძებნიან ძლივს.

მიყვარს სითბო მზის

და სიმაღლე მთის,

ვეთხოვები მზეს

და ცრემლები მდის.

ლუარა ჭანტურია

**ყოჩი**

ყოჩივარდა

გაყოყოჩდა:

ყოჩი ვარ და

ამიტომო,

გაზაფხულის

ყვავილებმა,

თავი აღარ

გამიტოლონ!

იამ გულში

გაიფიქრა:

შენი ტოლი

როდი ვარო,

გაზაფხულის

მახარობლად

სულ პირველი

მოვდივარო.

ნათია ჯანაშია

**ჭინჭარი**

„საძაგელო, რად დამსუსხე? -

უჯავრდება ჭინჭარს რეზო,

- შენით არის მოფენილი

თითქმის მთელი ჩვენი ეზო!“

დასუსხული წკეპლას უშენს,

ჭინჭარზეა ძლიერ მწყრალი.

დაავიწყდა, რომ სადილად

ამ ჭინჭარის ჭამა ფხალი.

მარიჯანი

**სოკო**

ნაწვიმარზე ტყისკენ მიდის,

მიიჩქარის ციცქნა გოგო.

ერთი, ორი, სამი, ოთხი

ვეღარ ითვლის გოგო სოკოს.

სიო ქრის და ჩიტი გალობს:

`ვინ აავსებს კალათებს?~

სოკოები წითელ თავებს

ხმელ ფოთლებში მალავენ.

მარიამ წიკლაური